მედიაციის დათქმები

ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად საქმის წარმოების მსურველმა მხარეებმა სასურველია აირჩიონ ერთერთი ქვემოთ მოცემული დათქმებიდან, რომლებიც ფარავენ განსხვავებულ სიტუაციებსა და საჭიროებებს. მხარეები სარგებლობენ თავისუფლებით, მიუსადაგონ არჩეული დათქმა საკუთარ განსაკუთრებულ გარემოებებს. მაგალითად, მათ შეუძლიათ დააკონკრეტონ მედიაციისგან განსხვავებული მორიგების პროცედურის გამოყენება. დამატებით, მათ შეუძლიათ მიუთითონ მედიაციის ან/და არბიტრაჟის საქმის წარმოების ენა და ადგილი.

თითოეული დათქმის ქვემოთ მოცემული შენიშვნები გამიზნულია დაეხმაროს მხარეებს ისეთი დათქმის შერჩევაში, რომელიც საუკეთესოდ მიესადაგება მათ კონკრეტულ საჭიროებებს.

მუდმივად საყურადღებოა, რომ თავიდან იქნეს აცილებული გაურკვევლობის რისკი დათქმის შემუშავებისას. ბუნდოვანი ფორმულირება იწვევს გაურკვევლობას და დაყოვნებას, და შეუძლია შეაფერხოს ან სულაც ჩაშალოს დავის გადაწყვეტის პროცესი.

ამ დათქმებიდან ნებისმიერის თავიანთ ხელშეკრულებებში შეტანისას, მხარეთათვის რეკომენდებულია, გაითვალისწინონ ნებისმიერი ფაქტორი, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს გამოსაყენებელი სამართლის შესაბამისად დათქმის აღსრულებადობაზე.

დათქმა „ა“: ICC-ის მედიაციის წესების გამოყენების არჩევანი

მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სხვა საქმის წარმოებაზე ზეგავლენის გარეშე, შეეცადონ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა მოაგვარონ ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად.

შენიშვნები: ამ დათქმის შეტანით, მხარეები აცნობიერებენ, რომ ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად საქმის წარმოება მათთვის ნებისმიერ დროს არის ხელმისაწვდომი. ეს დათქმა მხარეებს არ ავალდებულებს რაიმეს განხორციელებას, არამედ ამ დათქმის არსებობა განკუთვნილია, შეახსენოს

მხარეებს მედიაციის ან რაიმე სხვა მორიგების პროცედურის ნებისმიერ დროს გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე. დამატებით, ამ დათქმას შეუძლია ერთ მხარეს შეუქმნას საფუძველი, რომ შესთავაზოს მედიაცია მეორე მხარეს. მხარეს ან მხარეებს ასევე შეუძლიათ მოითხოვონ ICC-ის ADR საერთაშორისო ცენტრის დახმარება ამ პროცესში.

დათქმა „ბ“: ICC-ის მედიაციის წესების განხილვის ვალდებულება

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ უპირველეს ყოვლისა იმსჯელებენ და განიხილავენ დავის მიმართ ICC-ის მედიაციის წესების გამოყენებას.

შენიშვნები: ეს დათქმა ერთი ნაბიჯით წინ მიდის დათქმა „ა“-სთან შედარებით, და დავის წარმოშობის შემთხვევაში მხარეებისგან მოითხოვს, რომ ერთობლივად იმსჯელონ და განიხილონ დავის მიმართ ICC-ის მედიაციის წესების გამოყენება. მხარეს ან მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ICC-ის ADR საერთაშორისო ცენტრის დახმარება ამ პროცესში.

ეს დათქმა შესაძლოა უპრიანი იყოს, როდესაც მხარეებს არ სურთ, თავიდანვე თავი დაივალდებულონ დავის მიმართ „წესების“ გამოყენებაზე, არამედ ურჩევნიათ შეინარჩუნონ მოქნილობა, სცადონ თუ არა დავის მედიაციის გზით მოგვარება.

დათქმა „გ“: დავის მიმართ ICC-ის მედიაციის წესების გამოყენების ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში პარალელური საარბიტრაჟო საქმის წარმოების დაშვებით

(x) წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის შემთხვევაში, მხარეებმა, უპირველეს ყოვლისა, დავა საქმის წარმოებისთვის უნდა გადასცენ ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად. ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად საქმის წარმოების დაწყება არ უკრძალავს ნებისმიერ მხარეს არბიტრაჟის დაწყებას ქვემოთ მოცემული ქვე-დათქმა y-ის შესაბამისად.

(y) წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ყველა დავა უნდა საბოლოოდ გადაწყდეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, აღნიშნული წესების შესაბამისად დანიშნული ერთი ან მეტი არბიტრის მიერ.

შენიშვნები: ეს დათქმა ქმნის დავის ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად საქმის წარმოებისთვის გადაცემის ვალდებულებას. იგი განკუთვნილია იმის უზრუნველსაყოფად, რომ დავის წარმოშობისას, მხარეები შეეცდებიან დავის მოგვარებას „წესების“ შესაბამისად საქმის წარმოების გამოყენებით.

დათქმა ასევე ცხადყოფს, რომ მხარეებს არ ესაჭიროებათ ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად საქმის წარმოების დასრულება, ან შეთანხმებული ვადით მოცდა, რათა წამოიწყონ საარბიტრაჟო საქმის წარმოება. აღნიშნული ასევე წარმოადგენს ძირითად პოზიციას „წესების“ 10(2) მუხლის შესაბამისად.

დათქმა ითვალისწინებს ICC არბიტრაჟს, როგორც დავის საბოლოოდ მოგვარების ფორუმს. სურვილის შემთხვევაში, დათქმა შესაძლოა შეიცვალოს, რათა მოიცვას არბიტრაჟის, ან სასამართლოს ან სხვა მსგავსი პროცესის განსხვავებული ფორმა.

დათქმა „დ“: დავის მიმართ ICC-ის მედიაციის წესების გამოყენების ვალდებულება, რასაც მოყვება არბიტრაჟი საჭიროების შემთხვევაში

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის შემთხვევაში, მხარეებმა დავა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადასცენ საქმის წარმოებისთვის ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული „წესების“ შესაბამისად დავა მორიგებით არ დასრულდება მედიაციის განაცხადის წარდგენიდან [45] დღის ან მხარეთა მიერ წერილობით შეთანხმებული სხვა ვადის განმავლობაში, ამგვარი დავა უნდა საბოლოოდ გადაწყდეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, აღნიშნული წესების შესაბამისად დანიშნული ერთი ან მეტი არბიტრის მიერ.

შენიშვნები: დათქმა „გ“-ს მსგავსად, წინამდებარე დათქმა ქმნის დავის ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად საქმის წარმოებისთვის გადაცემის ვალდებულებას.

დათქმა „გ“-სგან განსხვავებით, წინამდებარე დათქმა ითვალისწინებს, რომ საარბიტრაჟო პროცესი არ უნდა დაიწყოს მედიაციის განაცხადის წარდგენიდან შეთანხმებული პერიოდის გასვლამდე. ნიმუშად მოცემულ დათქმაში შემოთავაზებული დროის პერიოდი არის 45 დღე, მაგრამ სასურველია მხარეებმა შეარჩიონ პერიოდი, რომელსაც სათანადოდ მიიჩნევენ შესაბამისი ხელშეკრულებისთვის.

დათქმა „დ“ ცვლის ICC-ის მედიაციის წესების 10(2) მუხლით გათვალისწინებულ ძირითად პოზიციას, რომლითაც დასაშვებია სასამართლო, საარბიტრაჟო ან მსგავსი საქმის წარმოების დაწყება ICC-ის მედიაციის წესების შესაბამისად მიმდინარე საქმის წარმოების პარალელურად.

დათქმა „გ“-ს მსგავსად, დათქმა „დ“ ICC არბიტრაჟს განსაზღვრავს დავის საბოლოო გადაწყვეტის ფორუმად. სურვილის შემთხვევაში, დათქმა შესაძლოა შეიცვალოს, რათა მოიცვას არბიტრაჟის, ან სასამართლოს ან სხვა მსგავსი პროცესის განსხვავებული ფორმა.

„საგანგებო არბიტრის დებულებებთან“ დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები

მხარეებმა სასურველია განსაზღვრონ, სურთ თუ არა გამოიყენონ „საგანგებო არბიტრის დებულებები“ დათქმა „გ“ და „დ“-ს შესაბამისად.

დათქმა „გ“ და „დ“

თუ მხარეებს სურთ, გამორიცხონ „საგანგებო არბიტრის დებულებების“ გამოყენება, შესაბამისად დათქმა „გ“-ს ან დათქმა „დ“-ს უნდა დაემატოს შემდეგი ფორმულირება:

„საგანგებო არბიტრის დებულებები“ არ გამოიყენება.

დათქმა „დ“

1 თუ მხარეებს სურთ „საგანგებო არბიტრის დებულებების“ გამოყენება და უნდათ, რომ ეს შესაძლებლობა მკაფიოდ ხელმისაწვდომი იყოს მედიაციის განაცხადის წარდგენიდან 45-დღიანი ან სხვა შეთანხმებული ვადის გასვლამდეც, დათქმა „დ“-ს უნდა დაემატოს შემდეგი ტექსტი:

მედიაციის განაცხადის წარდგენიდან [45] დღით, ან ნებისმიერი სხვა შეთანხმებული ვადით დაღოდების მოთხოვნა (დავის არბიტრაჟისთვის გადაცემამდე) ხელს არ უშლის მხარეებს აღნიშნული [45] დღის ან სხვა შეთანხმებული ვადის გასვლამდე წარადგინონ განცხადება საგანგებო ღონისძიებების შესახებ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესებში მოცემული „საგანგებო არბიტრის დებულებების“ შესაბამისად.

2 თუ მხარეებს სურთ „საგანგებო არბიტრის დებულებების“ გამოყენება, მაგრამ მხოლოდ მედიაციის განაცხადის წარგენიდან 45-დღიანი ან სხვა შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ, დათქმა „დ“-ს უნდა დაემატოს შემდეგი ტექსტი:

მედიაციის განაცხადის წარდგენიდან [45] დღის ან სხვა შეთანხმებული პერიოდის გასვლამდე მხარეები უფლებამოსილნი არ არიან, წარადგინონ განცხადება საგანგებო ღონისძიებების შესახებ, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო წესებში“ მოცემული „საგანგებო არბიტრის დებულებების“ შესაბამისად.

ICC-ის საარბიტრაჟო დათქმების შედგენაზე დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ ზემოთ გვერდები 91-93.